

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

გიგა ქამუშაძე

იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქული მეტყველების
თავისებურებანი

10.02.06 – ახლო აღმოსავლეთის ენები
(თურქული ენები)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ტიპოლოგიის განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ტარიელ ფუტყარაძე

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
მარიკა ჯიქია

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
ნოდარ ჯანაშია

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი
ნუნუ გურგენიძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 13 ოქტომბერს 14⁰⁰ საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს P.10.06.N^o9 სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0162, თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. 3.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006წლის 13 სექტემბერს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი

/დ.სვანი/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, 1944 წლის ნოემბერში, საბჭოთა იმპერიის ხელისუფალთა მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან (ისტორიული სამცხე-ჯავახეთიდან) შუა აზიაში გადასახლებული და XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რეპატრიირებულ ადამიანთა ამჟამინდელი მეტყველება მრავალმხრივია საკვლევი; იგი განსაკუთრებით საინტერესოა სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით, ვინაიდან ბოლო საუკუნეების მანძილზე ეს საზოგადოება ინტენსიური ენობრივ-კულტურული ინტერფერენციის პირობებში არსებობდა. ამ უნიკალური მასალის ლინგვისტური ანალიზი უტყუარ შედეგებს მოგვცემს ეთნო-კულტურული მახასიათებლების ისტორიული დინამიკისა და აწმყოს შესახებ.

კვლევის მიზანი. ნაშრომის მიზანია იმერეთის სოფელ იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქული მეტყველების შესწავლა; მისი დიალექტური სახის განსაზღვრა; ქართული და სხვაენოვანი პლასტების გამოვლენა; თანამედროვე კულტურული რეალიების შესაბამისი ენობრივი (ტერმინოლოგიური) "სამოსის" წარმოჩენა და სხვ.

ნაშრომში გაანალიზებული მასალა 2002-2005 წლებში ჩავიწერეთ სოფელ იანეთში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის გეგმის მიხედვით (სპეციალური პროგრამა-ინსტრუქცია და კითხვარი შედგენილია პროფ. ტ. ფუტყარაძის მიერ). აუდიო-კასეტებზე ჩაწერილი მასალა ინახება ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გავაანალიზეთ გამოქვეყნებული ტექსტები, კერძოდ: ა. ჯაფეროღლუს Kuzey-Doğu İllerimiz Ağızlarından Toplamalar (Ordu, Giresun, Trabzon, Rize ve Yöresi Ağızları), 1994, ა. ვეკილოვის Typeцкая диалектология", 1973 და სხვ.

კვლევის სიახლე. ნაშრომში პირველადია წარმოდგენილი საქართველოში რეპატრიირებული მოსახლეობის მეტყველების ანალიზი. გამოვლინდა, რომ ამ მოსახლეობის საოჯახო მეტყველება ძირითადად თურქულია, რომელმაც განიცადა სხვა არამონათესავე ენათა გავლენა. კერძოდ, იანეთელ რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში ბუნებრივია **p, t, w, W, k, y** ბგერები (რაც იმაზე მეტყველებს, რომ თურქული ენა ქართულის ძლიერ გავლენას განიცდიდა); აღსანიშნავია, რომ ქართულისთვის დამახასიათებელ მკვეთრ თანხმოვნებს ვხვდებით არამარტო ქართულ, არამედ თურქული წარმოშობის სიტყვებშიც: **bal 'pal' Tevzi, dudak 'toṭax' ბაგე, kurt 'qurt'** მგელი და სხვ. ქართული სუბსტრატი თვალსაჩინოა აგრეთვე ლექსიკაში; შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში ტერმინოლოგია ძირითადად ქართულია.

კვლევის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემების კვლევის დროს გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვლევაში გაანალიზებული მასალა და მიღებული დასკვნები ფასეულია კულტუროლოგიური და ენათა ინტერფერენციის კვლევის თვალსაზრისით. ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს რეპატრიირებულთა მეტყველების კვლევაში; გამოკვლევა საინტერესოა დარგობრივი ლექსიკის (ტერმინოლოგიის) შესწავლის კუთხითაც. ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიის მკვლევართათვისაც.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები წაკითხულია სამეცნიერო ფორუმებზე და გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიების სახით. ნაშრომის განხილვა და აპრობაცია შედგა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილებაში.

მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 150 გვერდს; იგი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ორი თავის, დასკვნითი დებულებების, დამოწმებული ლიტერატურის სიისა და ორი დანართისგან (ერთ დანართში ზოგადად აღწერილია რეპატრიირებულთა ყოფა-ცხოვრება, მეორე კი შეიცავს მეტყველების ნიმუშებს).

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალი

შესავალში მოკლედ წარმოდგენილია იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის ისტორიული და ამჟამინდელი საცხოვრისის ისტორია:

მესხეთი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის, ძირითადად მდინარეების – მტკვრისა და ჭოროხის – აუზში მდებარე ტერიტორიის კრებითი სახელია. ქართულ ისტორიოგრაფიაში მესხეთს ზემო ქართლის სახელითაც მოიხსენიებენ (ვ.ნოზაძე).

მესხეთში ოდითგანვე ქართველები ცხოვრობდნენ. მესხეთის მკვიდრ ქართველს ჰქვია მესხი. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, იქ ოდითგანვე ჟღერდა "სიტყვა ქართული რუსთაველისა", ხოლო დიდი ილიასა და ვაჟას მიხედვით – "ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა". ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: "არ შეიძლება დავიწყებული იქნეს აკვანი საქართველოს დიდებისა... მესხეთი ქართველებისათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისთვის".

ვარაუდობენ, რომ ძვ.წ. X საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ხართაფუს ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში მოხსენიებული **მუსქები** ორგანულად უკავშირდებიან იმ რეგიონს, სადაც ძველი ბერძნული წერილობითი წყაროების მოწმობით **ქართველური**, სახელდობრ, **მოსხურ-მესხური** წარმოშობის ტომები იყვნენ განსახლებული (ნ.ხაზარაძე).

საბჭოთა იმპერიის მმართველები არაქართველებად აცხადებდნენ და მიგრანტ თურქულ ჯგუფებთან ათანაბრებდნენ იმ ქართველებს, ვინც თურქეთის ოკუპაციის პირობებში შეინარჩუნა ქართული ენა, ქართული გვარები და ქართველთათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი. მუსლიმან ქართველთა ეთნიკური სახის დაკარგვის მიზნით "უდგენდნენ" ეროვნებას და ეთნიკურ ცნობიერებას: "თქვენ თათრები ხართ და უნდა ისწავლოთ თქვენს მშობლიურ ენაზე" – ასე "ურჩევდნენ" მაღალი თანამდებობების ინტერნაციონალისტები მაჰმადიან ქართველებს, რომლებიც ქართული სკოლების გახსნას ითხოვდნენ. ისედაც გაუნათლებელ გლეხობას ნაციონალური აზროვნება თანდათან ერთმეოდა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება უკნინდებოდა. დღესაც რეპატრიირებულთა უმრავლესობას არაფრის თქმა შეუძლია საკუთარი ეროვნების, ისტორიისა და ენის შესახებ. 65 წლის ფატიმა მამედოვა (შაქრიძე), რომელსაც დეპორტაციის სიმწარე აქვს ნაგემი, აცხადებს, რომ

"გინდა სომეხი ჩაწეროს, გინდა ქართველი, მაინც ჩემი მამას მიწა მინდა. ჩემზე ყველაზე ჩემი საქართველო ჯობია"-ო.

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირების ბოლო ეტაპზე – მეორე მსოფლიო ომის დროს კომუნისტები – უკვე აღარ ენდობიან მისგან "ნალოლიავებ" საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას და 1944 წლის 15 ნოემბერს, ღამით სამხრეთ საქართველოს ხუთ რაიონში ახორციელებენ მკაცრად გასაიდუმლოებულ, გრანდიოზულ სპეცოპერაციას: მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა იმპერიის მესვეურთა გადაწყვეტილებით საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან გაასახლეს 94 000 მაჰმადიანი ადამიანი, 15 ათასი ოჯახი.

1944 წელს მესხეთიდან გასახლებულთა საერთო სახელად, სამწუხაროდ, დღემდე დამკვიდრებულია ტერმინები: „თურქი მესხები“, „მაჰმადიანი მესხები“, „მესხეთელი თურქები და სხვ. ტერმინი **მესხი** თავიდანვე ქართველთა აღმნიშვნელი იყო, რაც დასტურდება როგორც უცხოური, ასევე ქართული წყაროებითაც. ნამდვილი მესხი ძირძველი ქართველია; **“თურქი მესხი”** წინააღმდეგობრივი ეთნონიმი, ვინაიდან ერთდროულად ნიშნავს თურქსაც და ქართველსაც, რაც სრული შეუსაბამობაა. რამდენადაც 1944 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ გასახლებულნი იქნენ: მუსლიმანი ქართველებიც, თარაქამებიც, მუსლიმანი სომხებიც, ბოშებიც და სხვ., რეპრესირებული მოსახლეობის აღსანიშნავად ყველაზე უფრო ადეკვატური ტერმინია **„მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა“** (ტ. ფუტკარაძე).

XX საუკუნის 60-იან წლებში **დეპორტირებული ქართველების** დაბრუნებას ითხოვდა ქართული ინტელიგენცია. პარალელურად, გააქტიურდნენ კრემლისგან მართული ძალებიც, რომლებიც დეპორტირებულ მოსახლეობაში ანტიქართულ განწყობილებას და პრორუსულ ორგანიზაციებს აძლიერებდნენ. დეპორტირებულთა საქართველოში დაბრუნება 80-იანი წლებიდან იწყება. მათმა ნაწილმა საკუთარი ინიციატივით აღიდგინა ქართული გვარი...

დეპორტირებული ქართველები სოფელ იანეთში პირველად 1983 წელს ჩამოვიდნენ. დღეისათვის რეპატრიანტთა რაოდენობა იანეთის მე-9 უბანში (საერთოდ, დასავლეთ საქართველოში მდებარე ეს უდიდესი სოფელი უზნებადაა დაყოფილი), 180 კაცს აღწევს. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას დღეს ქართული პასპორტები და მოქალაქეობა აქვთ; აქ ცხოვრობენ ლაზიშვილები, ერისთავები, მამისაშვილები, ჩხეიძეები, ბექაძეები, აბულაძეები... ჩამოსახლებულ იანეთელთა უმრავლესობა სამენოვანია (რუსული, თურქული, ქართული...); ახალგაზრდობა თანაბრად ფლობს ქართულსა და საოჯახო თურქულ დიალექტს.

თავი I

რეპატრირებულთა თურქული მეტყველების დახასიათება

1.1. თურქული დიალექტის განსაზღვრა

1.2.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით-ისტორიული მეთოდის განვითარებამ ენათმეცნიერებაში აღძრა ინტერესი არა მარტო ეროვნული ენებისადმი, არამედ დიალექტებისადმიც.

დიალექტოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ, ფართო განვითარება პოვა მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული თურქული

ენის დიალექტების შესწავლა. თურქულ ენაში სხვადასხვა ლექსიკურ თავისებურებებზე მიუთითებდნენ აგრეთვე მცირე აზიაში ჩამოსული მოგზაურებიც. თურქული ენისა და მისი ისტორიის შესწავლის გადრმავეებისათვის საჭირო შეიქმნა ზუსტი ცნობები თურქულის დიალექტებზე. ახლო აღმოსავლეთში სამეცნიერო მიზნებისათვის დაწყებული მოგზაურობის დროს მ. კაზემბეკმა და ი. ბერეზინმა ყურადღება მიაქციეს დიალექტოლოგიის პრობლემებს. მათ გამოყვეს თურქულის ორი დიალექტი: სტამბოლისა და მცირე აზიის. პირველად თურქოლოგიაში ი. ბერეზინი იძლევა მცირე აზიის დიალექტების თავისებურებათა მოკლე აღწერილობას. ის ეხება დიალექტთა ფონეტიკურ და მორფოლოგიურ თავისებურებებს და განასხვავებს მათ სალიტერატურო ენისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ი. ბერეზინმა ყურადღება მიაქცია აზერბაიჯანული ენის გავლენას თურქული ენის აღმოსავლურ დიალექტებზე.

1.3. ფონეტიკური პროცესები

რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში თურქული ენების ცხრავე ხმოვანი (a, ä, e, i, i, o, ö, u, ü) შეინიშნება.

თანხმოვნებიდან დასტურდება b, c, ç, d, f, g, ğ, h, j, k, l, m, n, p, r, s, ş, t, y, v, z ; ყრუ ნაპრალოვანი x და ქართული აბრუპტივები: p, t, w, W, k, y.

თუ ვიმსჯელებთ თურქული სიტყვების ბგერითი შედგენილობის მიხედვით, ისინი განსხვავდებიან სალიტერატურო თურქულის შესატყვისი ნორმებისაგან და მეტწილად ემთხვევიან მომიჯნავე თურქული დიალექტების ფორმებს. ასე, მაგალითად:

სიტყვათა აუსლაუტში: სალიტერატურო თურქულის 1 – რეპატრიირებულთა თურქული მეტყველების u.

kaşık, qaşux 'კოვზი', baldız 'balduz 'ქვისლი', balık palux 'თევზი', altın 'altun 'ოქრო', kılıç qulunç 'ხმალი', fırın furun 'ლუმელი', açlık açlux 'შიმშილი', babalık babalux 'მამობა' და სხვა.

როგორც ვხედავთ 1 > u ბგერათცმონაცვლეობა ხდება როგორც სიტყვის ფუძეში, ისევე აფიქსებშიც. (-IIK-სიტყვათმაწარმოებელი აფიქსია).

ამასთან თურქული ენის ისტორიაში აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდი, რომლის მანძილზე მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი ხმოვნები u, ü ნაცვლად არაბაგისმიერი ı, i-ისა. ზოგიერთი მკვლევარი ამ ფაქტს მიიჩნევს ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად. ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია თურქულის დიალექტებში და ისინი განიხილებიან თურქული ენის არქაული მდგომარეობის (იგულისხმება ხმოვანთა ჰარმონიამდელი პერიოდი) მაჩვენებლად, რომლის ანალოგებიც უხვად არის ძველ თურქულში (მ. ჯიქია).

რეპატრიანტთა მეტყველებაში ხშირად შეინიშნება ვიწრო u-ს გაფართოებით o-ს მიღების შემთხვევები: yukarı yoxarı 'ზევით', bugün bogün 'დღეს', dudak totax 'ტუჩი' და სხვა.

u ხმოვნის ფართო o-ში გადასვლა არ წარმოადგენს უჩვეულო მოვლენას თურქული დიალექტებისათვის. ასე მაგალითად: ჭოროხის აუზში, აიღინისა და გაზიანთეფის მეტყველებაში u>o ბგერათცვლილება დაკანონებულ მოვლენას წარმოადგენს (ნ.გურგენიძე). ასევე შევნიშნეთ ვიწრო ü-ს გაფართოებისა და პალატალობის დაკარგვით o-ში გადასვლის შემთხვევაც. მაგ: büyük boyük 'დიდი'.

ადგილი აქვს აგრეთვე **ü > ö** მოვლენასაც: güzel **gözel** 'ლამაზი', hükümet **hökmet** 'მთავრობა' და სხვა.

ხშირად რეპატრიანტთა მეტყველებაში სალიტერატურო თურქულის **ü** კარგავს ლაბიალობას და გვაძლევს **i** ხმოვანს სიტყვათა აუსლაუტში: kötü **köti** 'ცუდი', Gürcü **Gürçi** 'ქართველი', çünkü **çünki** 'რადგანაც' და ა.შ.

აღნიშნულ მოვლენას ვხვდებით ქართული ენის აჭარულსა და გურულ დიალექტებში თურქულიდან ნასესხებ სიტყვათა გამოყენების დროსაც.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნ. დმიტრიევი შენიშნავს: ზოგიერთ დიალექტში მახვილიანი ღია მარცვლის **ü** გადმოიცემა **i** ხმოვნით. ამ მოვლენას ის არ მიიჩნევს ფონეტიკურ პროცესად, რადგან ეს გადასვლა შეიმჩნევა სხვა ენათა (ბერძნული, სლავური, სომხური) გავლენის ქვეშ მყოფ თურქულ დიალექტებში. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად სინჰარმონიზმის დარღვევასთან გვაქვს საქმე (შდრ.: ტრაპიზონულის gördi _ სალიტ.თ. gördü 'დაინახა', მაკედონიურის güni _ სალიტ.თ. günü 'მისი დღე' და სხვ.

1. 2.1. აბრუპტივები

რეპატრიირებულთა თურქული მეტყველება სხვა თურქული ენებისა და დიალექტებისაგან გამოირჩევა საინტერესო ფონეტიკურ-ფონოლოგიური მოვლენებით:

b,p,d,t,k, თანხმოვნები ხშირად მკვეთრდება. ეს ბგერათგადასვლა შეიძლება განეპირობებინა იმასაც, რომ "თურქული მჟღერები და ფშვინვიერები ქართულში არაიშვიათად მკვეთრად აღიქმება" (ს. ჯიქია).

ცნობილია, რომ 1944 წელს მესხეთიდან გადასახლებული მოსახლეობა ერთგვაროვანი არ იყო. როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გადასახლეს: მუსლიმანი ქართველები (თავს ქართველებად თვლიდნენ), გათურქებული ქართველები (თავს თურქებად თვლიდნენ), თარაქამები, თათები, ქურთები. იანეთში ჩამოსახლებულ ოჯახებს სხვადასხვა ისტორია და, შესაძლოა, სხვადასხვა წარმომავლობაც ჰქონდეთ, თუმცა, მათი თურქული მეტყველება ერთგვაროვანია მკვეთრი თანხმოვნების (ე.წ. "კავკასიური ხშულების") გამოყენების თვალსაზრისით.

თანხმოვნები ძირითადად მკვეთრდება ანლაუტში; მაგ.:

სალიტერატურო თურქული **b** _ რეპატრიირებულთა მეტყველება **p**: balık **palux** 'თევზი', bal **pal** 'თაფლი', butilka **potlika** 'ბოთლი' და სხვა.

სალიტერატურო თურქული **t, d** _ რეპატრიირებულთა მეტყველება **ç**: tuz **çuz** 'მარილი', tutmak **çutmax** 'დაჭერა', day **çay** 'ზიდა', dana **çana** 'ხბო', damar **çamar** 'მარღვი', dal **çal** 'ტოტი', damla **çamla** 'წვეთი', doğru **çoğru** 'მართალი', სწორი, dođramak **çoğramax** 'ჭრა', dudak **çořax** 'ტუჩი', duvar **çuvar** 'კედელი', dođmak **çoğmax** 'დაბადება', dađ **çağ** 'მთა' და სხვ.

რეპატრიანტთა მეტყველებაში **k** თანხმოვანი უკანა რიგის ხმოვნებთან სიტყვათა ანლაუტში გვაძლევს **q**-ს; მაგ.: kafa **qafa** 'თავი', kaplan **qaplan** 'ვეფხვი', kış **qış** 'ზამთარი', kızarmak **qızarmax** 'გაწითლება', koç **qoç** 'ვერძი'.

რეპატრიირებულთა თურქული მეტყველებაში დავადასტურეთ (ჯერჯერობით) 70-მდე ქართული ლექსიკური ერთეული. მათგან ქართულისეული აბრუპტივები დასტურდება (იანეთელთა თურქული მეტყველების დროსაც შენარჩუნდება) შემდეგ სიტყვებში:

პ: pepela (პეპელა), pitna (პიტნა), panta (პანტა)...

ტ: tilo (ტილო), mitkal (მიტკალ)...

წ: çinckal (წინწკალ), çintal (წინტალ), çilip (წილიფ), çatx (წათხ), çunkal (წუნკალ)...

ჭ: çia (ჭია), çishkar (ჭიშკარ), çuçul (ჭუჭულ)...

კ: kurça (კაკალ), kurça (კურკა)...

ყ: çiaqela (ჭიაყელა), maqar (მაყარ)...

1.2.2. ხმოვანთა ჰარმონიის დარღვევა

იანეთელ რეპატრიანტთა თურქული მეტყველების დროს აფიქსებში შეიმჩნევა ხმოვანთა ჰარმონიის კანონის დარღვევის შემთხვევები:

1. თურქული ენებისათვის დამახასიათებელი კითხვითი ნაწილაკი **mi** ჩვენს მეტყველებაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი – **mi** – ვარიანტით: oxudun mi? (და არა oxudun mu?), yapti mi? (და არა yapti mi?), gördü mi? (და არა gördü mü) და სხვ.
2. სახელიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსი ჩვენს მეტყველებაში წარმოდგენილია ერთვარიანტიანი –**lux** აფიქსით. aylux (და არა aylık), kitaplux (და არა kitaplık), genişlux (და არა genişlik) და სხვ.
3. მხოლოდობითი რიცხვის მე-3 პირის შემასმენლობითი აფიქსი წარმოდგენილია აგრეთვე ერთვარიანტიანი –**dur** ფორმით: insandur (და არა insandır), evdur (და არა evdir), babadur (და არა babadır), Allah birdur (და არა birdir) და სხვ.

1.3. მორფოლოგიური მოვლენები

1.3.1. არსებითი სახელის ბრუნება

არსებით სახელთა სტრუქტურაში მომხდარია ზოგიერთი ცვლილება, რაც, უმთავრესად, განპირობებულია მორფონოლოგიური მოვლენებით. ამის შედეგად რეპატრიანტთა თურქული მეტყველების მოდელები ზოგჯერ განსხვავდება სხვა თურქულ ენათა შესაბამისი ერთეულებისაგან.

არსებითი სახელი რეპატრიანტი მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში თითქმის ისევე იბრუნვის, როგორც თურქულ ენათა უმრავლესობაში. განსხვავებას ვხვდებით **K** თანხმოვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას. ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას **k** თანხმოვანი მხოლოდ მჟღერდება და არ გვაძლევს **ğ**-ს ე.ი. ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის სპირანტიზაცია – **k>x** – არ ხდება. მაგალითად:

სახელობითი: çocuk

ნათესაობითი: çocuk-un

მიცემითი: çocuk -a

ბრალდებითი: çocuk -i

ადგილობითი: çocuk-ta

დაწყებითი: çocuk-tan

p, ç და **t**-ზე დაბოლოებული მრავალმარცვლიანი სახელები რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში ჩვეულებრივ იბრუნვის, ოღონდ ადგილობით და დაწყებით ბრუნვებში ყრუ თანხმოვნების შემდეგ გამოყენებული **-ta-te** და **-tan-ten** აფიქსთა ნაცვლად შევნიშნეთ **-DA, -DAn** აფიქსების არსებობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ნიმუშებს:

სახელობითი:	kitap	qanat	ağaç
ნათესაობითი:	kitabın	qanadın	ağacın
მიცემითი:	kitaba	qanada	ağaca
ბრალდებითი:	kitabı	qanadı	ağacı
ადგილობითი:	kitapda	qanatda	ağaçda
დაწყებითი:	kitaptan	qanattan	ağaçtan

როგორც ცნობილია, თურქული ენებში კუთვნილებისაფიქსდართული სიტყვების ბრუნვა შემდეგი საერთო სქემის მიხედვით ხდება: საბრუნებელი სიტყვა + კუთვნილებითი აფიქსი + ბრუნვის აფიქსი.

შეკრებილი მასალების საფუძველზე კი გაირკვა, რომ აქაურთა მეტყველებაში მეორე პირის კუთვნილებითაფიქსიანი სიტყვის ბრუნვის საერთო წესი დარღვეულია და მას ასეთი, თურქული ენებისათვის უცნობი, სახე მიუღია: **საბრუნებელ სიტყვას მოსდევს ჯერ მიცემითი ბრუნვის აფიქსი და შემდეგ დაერთვის კუთვნილების გამომხატველი ნიშანი მეორე პირისა.**

ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

a) Tanxmovniani fuZeebi:

1. Mal 'ძროხა' _ Mal - a -n bax 'შენს ძროხას მიხედე' _ „**Malan**“ სიტყვაში **a** მიცემითი ბრუნვის აფიქსია, **n** _ კი კუთვნილებითი მეორე პირისა.

2. Mällim 'მასწავლებელი' - Sänin mällim-ä-n söyle 'შენს მასწავლებელს უთხარი'.

ბ) ხმოვნიანი ფუძეები:

1. Baba 'მამა' _ Baban çağrı _ 'მამაშენს დაუძახე'. თურქული ენებში ზმნა _ „**çağırmaq**“ მოითხოვს ბრალდებით ბრუნვას. რეპატრიირებულები კი, როგორც ვხედავთ, ამ ზმნასთან მიცემით ბრუნვას იყენებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ხმოვნიანი ფუძეები ასეთი გაფორმების დროს კარგავენ ფუძისეულ ხმოვანს. ფუძისეული ხმოვანი თუ შენარჩუნდებოდა, ამ შემთხვევაში გვექნებოდა **Baba-ya-n çağrı**, მაგრამ ასე არ ხდება. აღნიშნულის გამო ს.ჯიქია ვარაუდობს, რომ ეს გამოწვეული უნდა იყოს მახვილის მომდევნო მარცვალზე გადატანით.

სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება

რეპატრიირებულები სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად იყენებენ **-lar, -lär** სუფიქსებს. **-lar** გამოიყენება ფუძის ბოლო მარცვალში მხოლოდ **a** ხმოვნის შემცველი სიტყვებისათვის, **-lär** კი სხვა დანარჩენი რვა ხმოვნის შემცველი სიტყვებისათვის:

köv 'სოფელი'
göl 'ტბა'
küçük 'პატარა'
qapı 'კარი'
çocuk 'ბავშვი'

kövlär 'სოფლები'
göllär 'ტბები'
küçüklär 'პატარები'
qapılär 'კარები'
çocuklär 'ბავშვები'

balta 'ნაჯახი'	baltalar 'ნაჯახები'
qarı 'ქალი, ცოლი'	qarılär 'ქალები, ცოლები'
bacı 'და'	bacılär 'დები'

როცა სახელის ფუძე **n** თანხმოდნით ბოლოვდება, მრავლობითი რიცხვის **-lar, -lär** აფიქსის დართვისას ხდება სრული ასიმილაცია აფიქსის თავკიდური **l** თანხმოდნისა.

Mმაგ; gün 'დღე'	günnär 'დღეები'
aşqazan 'თირკმელი'	aşqazannar 'თირკმელები'

ზედსართავი სახელი

ორეპატრიირებულთა მეტყველებაში ზედსართავი სახელის სამივე ხარისხის ფორმები დადასტურდა. მხოლოდ ოდნაობითი ხარისხის საწარმოებლად ნაცვლად თურქული **-msI/mtIrak** და **-cA** სუფიქსებისა, გამოიყენება **çalmak** ზმნის უპირატესად III პირის ფორმა და **kimi** (აზერბაიჯანულად kimi - „ვით“ თანდებულია) სიტყვა. მაგ.:

bayaz 'თეთრი'	bayaza çalışır / bayaz kimi 'მოთეთრო'
qara 'შავი'	qaraya çalışır / qara kimi 'მოშავო'

აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად გამოიყენება ინტენსივობის გამომხატველი **än** ნაწილაკი (თურქ. en).

böyük 'დიდი'	än böyük 'ყველაზე დიდი'
küçük 'პატარა'	än küçük 'ყველაზე პატარა'

რიცხვითი სახელი

იანეთელთა მეტყველებაში რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად გამოიყენება **-(I)nci** სუფიქსები. მაგ:

bir _ birinci, iki – ikinci, altı – altıncı, dört – dördüncü, on – onuncu და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელის ასეთი წარმოება დამახასიათებელია აზერბაიჯანული ენის ნუხის დიალექტისათვის. განყოფილი რიცხვითი სახელი იწარმოება თითქმის ისე, როგორც თურქულ ენაში:

თანხმოვანფუძიანთათვის: **-Ar**
 ხმოვანფუძიანთათვის: **-şAr**

ნაცვალსახელი

პირველსა და მეორე პირის ნაცვალსახელად რეპატრიირებულები აზერბაიჯანული ენის მსგავსად bän და sän ნაცვალსახელებს იყენებენ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები თურქული ენისაგან მკვეთრად განსხვავებულია:

პირის ნაცვალსახელები: bän 'მე', sän 'შენ', o 'ის', biz 'ჩვენ', siz 'თქვენ', onnar 'ისინი'.

ჩვენებითი ნაცვალსახელები: bu 'ეს', o 'ის', abu 'ეგ', aştö 'მაგ', äbäläsi 'ასეთი', äläsi 'მასეთი', äbudeyne 'ამნაირი', odeyne 'მაგნაირი'

კუთვნილებითი: bänim 'ჩემი', sänin 'შენ', onun 'მისი', bizim 'ჩვენი', sizin 'თქვენი', onnarın 'მათი'

კითხვითი ნაცვალსახელები: kim? 'ვინ?', nä? 'რა?', näsıl? 'როგორი?', qaç? 'რამდენი?', qaçıncı? qaç tanesi? 'მერამდენე?', hangi? 'რომელი?', näräli? 'სადაური?'

კითხვით-კუთვნილებითი kimin? 'ვისი?', neyin? 'რისი?'

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: gendi 'თვით, თვითონ', heppisi 'ყველა', här 'ყოველი', baxşa 'სხვა', baxşa- baxşa 'სხვადასხვა', här şey 'ყველაფერი'

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: bazı 'ზოგი', kisme 'ვიღაც', bir şey 'რაღაც'

ურთიერთობითი: ერთმანეთი – birbirini 'ერთმანეთი'
 უარყოფითი: yox 'არა', heç kisme 'არავინ', heç bir şey 'არაფერი'

1.3.2. ზმნა

სახელზმნა

სახელზმნის საწარმოებლად ჩვენს მეტყველებაში გვხვდება **-max** მასდარის ერთვარიანტიანი აფიქსი, რომელიც თურქულისეული **-mAK** მასდარისეული აფიქსის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. მაგ.:

თურქულად	რეპატრიირ. მეტყველება
yapmak 'კეთება'	yapmax
almak 'აღება, ყიდვა'	almax
bulmak 'პოვნა'	bulmax
oturmak 'ცხოვრება, დაჯდომა'	oturmax
boyamak 'ღებვა'	boyamax
dokumak 'ქსოვა'	toxumax
kesmek 'ჭრა'	käsmax

აბსოლუტივები

რეპატრიანტთა დიალექტში გავრცელებულია შემდეგი აბსოლუტივები: **-İb, -mAzdAn, -mAdAn evvel, -An açan** და სხვ.

Sumka **alıb** gätti 'ჩანთა აიღო რა, წავიდა'.

Mälime **sormazdan** äve gälmiyax 'მასწავლებლის უკითხვად სახლში არ წავიდეთ.

Salam **vermezden** gätti 'დაუმშვიდობებლად წავიდა'.

Gätmäden evvel çay içax 'წასვლამდე ჩაი დავლიოთ'.

Evlänen açan äv almax iştemiyerim 'დაქორწინებამდე სახლის ყიდვა არ მინდა'.

თხრობითი კილოს მარტივ დროთა წარმოება

აწმყო-განსაზღვრული დრო. რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში აწმყო-განსაზღვრული (ახლანდელი) დროის მაწარმოებლად **-yer** ფორმანტი გვაქვს, რომელიც თურქული ენის ამავე რიგის **-yor** აფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. მაგ.:

წართქმითი ფორმა

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
1.gädiyerim	„მე მივდივარ“	1. gädiyerux
2.gädiyersin		2.gädiyersiz
3.gädiyer		3.gädiyerlär

მყოფადი (მომავალი) კატეგორიული დრო. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ რეპატრიირებულთა მეტყველებაში თურქული ენის მყოფადი კატეგორიული დროის მაწარმოებელი **-AcAk, -(y)AcAk** აფიქსები გამარტივებულია.

იკარგვის რა ბოლოკიდური **k**, იგი მხ. რიცხვის III და მრ. რიცხვის სამსავე პირში ამ მეტყველებისათვის დამახასიათებელ **x**-ში გადადის.

წართქმითი ფორმა

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
1. yazacam	„მე დავწერ“	1. yazacayux
2. yazacan		2. yazacaxsız
3. yazacax		3. yazacaxlar

აწმყო-მყოფადი დრო. იანეთელთა მეტყველებაში აწმყო-მყოფადი ანუ აწმყო განუსაზღვრელი დროის წარმოება თურქულ ენებთან შედარებით დიდ განსხვავებას იძლევა. დროის აღმნიშვნელად მაგარი ხმოვნების შემცველი ფუძეებისათვის გვაქვს **ıyır**, რბილი ხმოვნების შემცველი ფუძეებისათვის – **yir** აფიქსი. ზაგისმიერი ვარიანტი კი აღნიშნულ აფიქსს არ გააჩნია. აღნიშნული ფაქტი გვხვდება აგრეთვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში: „yola çıyır“, „gahve içiyir“ (ა.ჯაფეროღლუ); მაგ.:

O ixtiyar anababasına baxıyır 'ის მოხუც მშობლებს უვლის'.

Abu naxıra sän mi baxıyırın? 'ამ ნახირს შენ უვლი?'.

Yarın mäktäbe gelebülür misin? 'ხვალ სკოლაში შეძლებ მოსვლას?'.

İçiyirux, dans ediyirux 'ვსვამთ, ვცეკვავთ'.

ნამყო-კატეგორიული დრო. ნამყო-კატეგორიული დროის წარმოება თურქულ ენათა ამავე დროის წარმოებასთან შედარებით გარკვეულ განსხვავებას იძლევა. დროის მაწარმოებელი აფიქსი მხოლოდობით რიცხვში ხმოვანთა ჰარმონიის წესის დარღვევით ერთვის ფუძეს. გამოიყენება მხოლოდ **-Di/-Dı** აფიქსები. მრავლობითი რიცხვის მეორე პირში **-nİz** ფორმანტის ნაცვლად გვაქვს **-İz** აფიქსი.

ყრუ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებზე დართული **-ti/tı**-ს თანხმოვნითი ნაწილი რეპატრიირებულთა მეტყველებაში ფშვინვიერი არ არის, მკვეთრია. ეს მოვლენა, ვფიქრობთ, მხოლოდ ჩვენი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. სალიტერატურო აზერბაიჯანულში, აგრეთვე თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში ყრუ თანხმოვნებზე დაბოლოებულ ზმნებს აღნიშნული დროის აღსანიშნად მხოლოდ მჟღერი **-d**-ს შემცველი **-di** აფიქსი ერთვის: მაგ.:

Bu qızdan iki oğlan oldu 'ამ გოგოსგან ორი ვაჟი შეეძინა'.

qız şeherden dışarı çıktı, yola düştü geldi 'გოგო ქალაქგარეთ გავიდა, გზას გაუდგა, წავიდა.

Bir daşın dibinde oturdu 'ერთი ქვის ძირას დაჯდა'.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მეტყველებაში თხრობითი კილოს ზოგიერთ მარტივ დროთა წარმოების შემთხვევებში დადასტურებული განსხვავებები ფონეტიკური ხასიათისაა. თავისებურება უფრო მეტად პირის ნიშნებში ვლინდება და მსგავსია თურქული ენის დიალექტური ფორმების მსგავსია.

ბრძანებითი კილოს გამოხატვა

ბრძანებითი კილოს მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნიშნად სალიტერატურო თურქულში ნატვრითი კილოს ფორმანტია გამოყენებული. სალიტერატურო თურქულის **-Allım** აფიქსს რეპატრიირებულთა მეტყველებაში ერთვარიანტიანი **-ax** აფიქსი ენაცვლება, რომელიც დაერთვის როგორც რბილ, ისე მაგარ ფუძეს.

ბრძანებითი კილოს მრავლობითი რიცხვის I პირის ნიშნად სავსებით იდენტური ფორმები დასტურდება აზერბაიჯანული ენის ნუხურ მეტყველებაში: *alax! gälax! olax!* (ნ.აშმარინი) და ანატოლიური თურქულის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში: *BBiz ona qarşılık nä verax – ჩვენ მას საპასუხოდ რა მივცეთ. ; Senin bacını bu adame verax – შენი და ამ კაცს მივცეთ (ა. ვეჯილოვი).*

იანეთელთა თურქულში ხმოვანთა ჰარმონიის წესის დარღვევის გამო კილოს მაწარმოებელი ხმოვანი ბგერა ერთი ვარიანტით არის წარმოდგენილი და -e, ä/a-ს ნაცვლად მხოლოდ -a- გვაქვს. პირის აღმნიშვნელი თანხმოვანი კი უკანანენისმიერი **k** უნდა ყოფილიყო, რომელიც სიტყვის ბოლოკიდურ მდგომარეობაში საკვლევ მეტყველებაში სპირანტ **x**-ს გვაძლევს.

აუცილებლობითი კილო

სხვა თურქულ ენებთან შედარებით აუცილებლობითი კილო წარმოების მხრივ რეპატრიირებულთა მეტყველებაში განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენს. აუცილებლობითი კილოს მაწარმოებლად სუფიქსი აქაც ორვარიანტიანი -mAll გამოიყენება.

პირობითი კილო

პირობითი კილოს მაწარმოებელია -sA აფიქსი. აღსანიშნავია, რომ წარსულ დროში პირობითი კილოს ფუნქცია მთლიანად ამავე დროის ნატვრით კილოს ეკისრება.

წარსული დრო

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

gäleydim რომ მოვსულიყავი

gäleydux

gäleydin

gäleydiz

gäleydi

gäleydilär

მაგალითები:

vaxtim olsa vätäni gördüm 'დრო რომ მქონდეს, სამშობლოს მოვინახულებდი'.

Vaxtim olsa Axaltsixe'ye gäderdim 'დრო რომ მქონდეს, ახალციხეში წავიდოდი'.

ზმნის რთული დროები

რთული დროები იწარმოება მარტივ დროებზე -**di** აფიქსის დართვით. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

1. *Dün Bakü'den gäliyerdim da araba bozdi* 'გუშინ ბაქოდან მოვდიოდი და მანქანა გაფუჭდა'.

2. *Biz şarap älbette ki içiyirdux* 'ჩვენ ღვინოს, რა თქმა უნდა, ვსვამდით'.

3. *Bursaya İki ay önce gätmiştim, bu kış gätmiyirim* 'ბურსაში ორი თვის წინ ვიყავი წასული, ამ ზამთარში არ მივდივარ'.

4. *Sänä gäleceydim, ama sora baxşa yere gättum* 'შენთან მოვდიოდი, მაგრამ შემდეგ სხვაგან წავედი'.

გვარი

მოძიებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ჩვენი საკვლევ დიალექტისათვის უფრო დამახასიათებელია საურთიერთო მოქმედების გამოხატვის

აღწერილობითი, ანალიტიკური გზა: გარდამავალ ზმნას დაერთვის სათანადო ბრუნვაში მდგარი და კუთვნილებისაფიქსდართული ნაცვალსახელი **birbiri**. მაგ.:

Kopitnari'de dün arabalar birbirine çarptılar 'გუშინ კოპიტნარში მანქანები ერთმანეთს შეეჯახნენ'.

NNigär inän Cuma birbirini seviyir 'ნიგერს და ჯუმას ერთმანეთი უყვართ'.

უკუქცევითი გვარი. ჩვენი საკვლევი დიალექტი აღნიშნული გვარის წარმოებისას თურქულ წარმოებასთან შედარებით განსაკუთრებულებას არ ავლენს. მაგ.:

Gälin tarandı de hazırlandı 'პატარძალი დავარცხნილი და მოწესრიგებული იქნა'.

Geçenlerde Axaltsixe'ye gezindi 'ამასწინათ ახალციხეში ექსკურსია იქნა მოწყობილი'.

vnebiTi gvari. ისევე როგორც წინა შემთხვევებში, ვნებითი გვარის წარმოების მხრივაც ჩვენი დიალექტი განსაკუთრებულ სხვაობას არ ავლენს. მოვიყვანთ რამდენიმე წინადადებას:

Eduard Şevardnadze adında bir mektup yazıldı 'ედუარდ შევარდნაძის სახელზე წერილი დაიწერა'.

Dün alınmış ätmak yemedim 'გუშინ ნაყიდი პური არ შევჭამე'.

Dün yapılmış bankete Lamzira mälim gelmedi 'გუშინ გამართულ ბანკეტზე ლამზირა მასწავლებელი არ მოვიდა'.

იძულებითი გვარი. თურქულ ენებში არსებული იძულებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსები იანეთში მცხოვრებ რეპატრიირებულთა მეტყველებაშიც გამოიყენება, მხოლოდ აქ გამოყენებული აფიქსები თურქულ ენებში კაუზატივის აფიქსთა ფონოლოგიურად შეპირობებულ ვარიანტებს წარმოადგენს. მაგ.:

Ostata äv yapturdım 'ოსტატს სახლი ავაშენებინე'.

Tufli Räsul'e aldurdım 'ფეხსაცმელი რასულს ვაყიდიინე'.

Mala su içurdım 'პირუტყვს წყალი დავალევიინე'.

1.3.3. კუთვნილების გამოხატვა

კუთვნილების გამოხატვა საკვლევ მეტყველებაში ისევე ხდება, როგორც ძირითადად თურქულ ენებსა და დიალექტებში გვაქვს.

განსხვავებულია იმ სახელთა ბრუნება, რომელთა ფუძე ბაგისმიერ ხმოვნებს შეიცავს. კერძოდ, ნაცვლად მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის **-u, -ü, -i** აფიქსებისა, გვაქვს მხოლოდ **-i** აფიქსი. მაგ.:

göl-üm (ჩემი ტბა)	çocug-um (ჩემი ბავშვი)
göl-ün	çocug-un
göl-i ნაცვლად göl-ü -სა	çocug-i
göl-(ümüz)	çocug (umuz)
göl-(ünüz)	çocug (unuz)
göl-i (läri)	çocug (läri)

ცნობილია, რომ თურქულ ენაში მრავლობით რიცხვში მდგარ პირის ნაცვალსახელს იმის მიუხედავად, თუ რამდენია კუთვნილების საგანი, საზღვრულიც მრავლობით რიცხვში შეეწყობა. მაგ.:

Onların küçük kızları Berna 'მათი უმცროსი ქალიშვილი ბერნა'.

რეპატრიანტი მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში კი შევნიშნეთ ასეთი ფორმები: **Bizim göl** 'ჩვენი ტბა' – ეს ნიშნავს, რომ ტბა (კუთვნილების საგანი), ერთია. **Bizim gölümüz** – კი უკვე ნიშნავს, რომ ტბა ერთზე მეტია. **Onların kızı** – გამოდის, რომ მათ ერთი ქალიშვილი ჰყავთ.

1.3.4. შედგენილი შემასმენლის კონსტრუქცია

I პირის მხოლოდობითი რიცხვის შემასმენლობითი აფიქსი ჩვენს დიალექტში ისევე გამოიხატება, როგორც თურქულ ენებსა და დიალექტებშია; ანუ გამოყენებულია -Im აფიქსი. **Bän Türk degulum, Gürciyim** 'მე თურქი არა ვარ, ქართველი ვარ'.

II პირის გადმოსაცემად გამოყენებულია -sIn აფიქსი. მხოლოდობითი რიცხვის III პირისათვის კი რეპატრიანტები როგორც მჟღერ, ისე ყრუ ხშულ თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეებისათვის -დურ აფიქსს იყენებენ. **Bardaxda su vardur** 'ჭიქაში წყალი არის', **Batono Paata eyi insandur** 'ბატონი პაატა კარგია ადამიანია'.

მრავლობითი რიცხვის I პირის ნიშანი ჩვენს საკვლევ ობიექტში არის -ux ბოლოთანხმოვნისანი ფუძეებისათვის და -yux ბოლოხმოვნისანი ფუძეებისათვის. **Toyda içiyux de dans ediyirux** 'ქორწილში ვსვამთ და ვცეკვავთ'.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი დიალექტი მრავლობითი რიცხვის პირველ პირს აზერბაიჯანული ენის მსგავსად აწარმოებს, ვინაიდან აზერბაიჯანულში აღნიშნული პირის გამოსახატად გამოყენებულია -ig(-ik,-ug,- ük) თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეებისათვის და --yig(-yik, -yug,-yük) ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეებისათვის. ამ აფიქსთა თანხმოვნები კი მეტყველების დროს წარმოითქმის როგორც x.

მრავლობითი რიცხვის II პირში გვაქვს -sIზ აფიქსი. **Siz Kutaisili misiz?** 'თქვენ ქუთაისელი ბრძანდებით?'. თურქული ენის დიალექტებიდან -siz მრავლობითი რიცხვის II პირის აღსანიშნავად გვხვდება ანატოლიური თურქულის ჩრდილო-აღმოსავლურ და აღმოსავლურ დიალექტებში; **ya bulip getüreceksiz** (ა.ვექილოვი). აღნიშნული დიალექტები კი სწორედ მესხეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობენ.

1.3.5. ზმნიზედები

რეპატრირებულთა მეტყველების დროს დავაფიქსირეთ შემდეგი ზმნიზედები:

qapı	'გარეთ'	dün	'გუშინ'
içerde	'შიგნით'	bogün	'დღეს'
çox	'ძალიან'	sabax	'ხვალ'
burda	'აქ'	öbür gün	'ზეგ'
orda	'იქ'	dün öte gün	'გუშინწინ'
arxa	'უკან'	bu yıl	'წელს'
ögde	'წინ'	o yılı	'შარშან'
sora	'შემდეგ'	gäläcäxtä	'მომავალ წელს'

1.3.6. კავშირი

რეპატრიანტთა მეტყველებაში თურქული ენებისეული „ve“ (და) კავშირი არ გამოიყენება. მის სანაცვლოდ გამოიყენება უმახვილო ნახევრადაფიქსი **da/dä** ან კიდევ **inan** თანდებული.

აღსანიშნავია, რომ ყუმუხურ ენაში გამოიყენება „bulan/mulan“ თანდებული; Meni bulan' ჩემთან ერთად, Anam bulan/mulan'დედაჩემთან ერთად. აღნიშნული თანდებულის შესატყვისები სხვა თურქულ ენებში ხშირად შეიცავენ წინა რიგის ხმოვნებს (bilen, birle, ilen, ile და ა.შ. (ნ.დმიტრიევი). შესაძლოა, რომ **inan** თანდებული ჩვენს დიალექტში სწორედ ilen > InAn გზითა და რეგრესული ასიმილაციით იყოს მიღებული.

inan თანდებული დასტურდება თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტში. ა.ჯაფეროღლუსთანაც ვხვდებით ასეთ სიტყვაფორმას: **Paraminan laf alacam** 'ფულით სიტყვას ვიყიდი'. ხოლო ყარსის მეტყველებაში დადასტურდა **ynan** ფორმა: Çocularıynan barabar yola düşdüler 'ბავშვებთან ერთად გზას გაუდგნენ' (ა.ვექილოვი).

1.3.7. თანდებულები

რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში თანდებულებიდან აღსანიშნავია **açan** (მდე) თანდებული, რომელიც სახელებისაგან სახელობით ბრუნვას მოითხოვს. ნაცვალსახელი კი ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას.

bänä açan 'ჩემამდე', bize açan 'ჩვენამდე', **Topik açan** 'ტოპიკამდე'.

kimin/kimi (ვით) თანდებული სახელს მართავს სახელობით ბრუნვაში, ნაცვალსახელებს კი ნათესაობითში; Telman kimi 'ტელმანივით', KKimin kimi? 'ვისავით?', Onun kimi 'მასავით'.

üçün (თვის) თანდებული ასევე ზოგიერთ თურქულ ენაში გამოიყენება. **üçün** თანდებული ბაგისმიერი ხმოვნებით აზერბაიჯანული ენის კუთვნილებაა. თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება **içün** ფორმა (ა.ჯაფეროღლუ).

1.3.8. სინტაქსი

რეპატრიირებულთა დიალექტში დროთა განმავლობაში განვითარებულა სალიტერატურო თურქულისაგან განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები. ეს მოვლენა დამახასიათებელია პერიფერიული თურქული დიალექტებისათვის. ამავე დროს დიალექტში შენარჩუნებულია თურქულისათვის დამახასიათებელი სინტაქსური წყობა.

თურქული იზაფეტი. (მსაზღვრელ-საზღვრული). როგორც ცნობილია, თურქული იზაფეტი ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქციაა, რომელშიც ორივე წევრი – მსაზღვრელიც და საზღვრულიც – არსებითი ან გაარსებითებული სახელია.. სამივე იზაფეტში მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს.

პირველი იზაფეტი უნიშნოა. მსაზღვრელიც და საზღვრულიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი. სხვა მნიშვნელობათა შორის უმთავრესია ის, რომ მსაზღვრელი ნივთიერების აღმნიშვნელი არსებითი სახელია.

taş merdiven 'ქვის კიბე'

altın saat 'ოქროს საათი'

gümüş bilezik 'ვერცხლის სამაჯური'

იანეთელთა მეტყველებაში კი პირველი იზაფეტის „კანონი“ დარღვეულია და საზღვრული დაირთავს მესამე პირის კუთვნილებით აფიქსს. გვაქვს:

tahta evi 'ხის სახლი, ფიცრული სახლი'

taş merdivani 'ქვის კიბე'

მეორე იზაფეტი რეპატრიირებულთა მეტყველებაში ხმოვანთა ჰარმონიის დარღვევითაა წარმოდგენილი:

dağ yolu 'მთიანი გზა'

varxani kövi 'სოფელი ვარხანი'

მესამე იზაფეტით გადმოიცემა კონკრეტული კუთვნილება:

bänim inän babamın hayatı 'ჩემი და მამაჩემის ცხოვრება'

kövümün adı 'ჩემი სოფლის სახელი'

bacımın beşigi 'ჩემი დის აკვანი'

komnatanın tuvarları 'ოთახის კედლები'

როცა საზღვრული არათურქული წარმოშობისაა, ჩვეულებრივ, უნიშნოდაა გაფორმებული:

çocugin sapogi 'ბავშვის ჩექმა'

yaneti'nin gamgebeli 'იანეთის გამგებელი' და სხვ.

1.3.9. სიტყვათა რიგი წინადადებაში

დომინანტური SOV სიტყვათგანლაგება იანეთელ რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში შეცვლილია რამდენიმე მიმართულებით:

1. OPS – დამატება – ზმნური შემასმენელი – ქვემდებარე

Sporta gäziyim ben 'სპორტზე დავდივარ მე'.

Bu quyda bexliyir axşama açan oğlı 'ამ ჭასთან იცდის საღამომდე ვაჟი'.

Uzbekistan' da yox cadi 'უზბეკეთში არ არის მჭადი'.

Mal aldux, götürdux, otladux çocuxlar 'საქონელი ავიყვანეთ, წავიყვანეთ, ვაბალახეთ ბავშვებმა'.

2. OSP – დამატება – ქვემდებარე – ზმნური შემასმენელი

PPPalux tutmaya biz bir günde gädiyirux 'თევზის საჭერად ჩვენ ერთი დღით მივდივართ'.

3. POS – ზმნური შემასმენელი – ობიექტი – ქვემდებარე

Gädiyir bu quyu yanına o 'მიდის იმ ჭასთან ის'.

Geliyerux äve biz 'მოვდივართ სახლში ჩვენ'.

Çox seviyerim bu sporti ben 'ძალიან მიყვარს ეს სპორტი მე'.

Alıyır taşı da yılanı atıyır 'იღებს ქვას და გველს ესვრის'.

Çox idux ävde biz 'ბევრი ვიყავით სახლში ჩვენ'.

Gädiyirler seçimlere pasaportlar olanlar 'მიდიან არჩევნებზე პასპორტის მქონენი'.

ხშირად გვხვდება SPO – სუბიექტი – ზმნური შემასმენელი – ქვემდებარე მიმდევრობა:

Anam bilmiyirdi Gürcüce, babam bilmiyirdi, onnar biliyirdi 'დედამ არ იცოდა ქართული, მამამ არ იცოდა, მათ იცოდნენ'.

Şevardnadze ilk defa olmuştı bizim kövde – შევარდნაძე პირველად იყო ჩვენს სოფელში.

1.3.10. მიმდევრობები

იანეთელ რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში ჩვენ მიერ დაფიქსირებული მიმღეობები ოღუზური ჯგუფის ენების მიმღობათა ფორმებისაგან არ განსხვავდება. მოპოვებული მასალების მიხედვით დავადგინეთ, რომ არსებობს სამივე დროის მიმღეობა.

1. ახლანდელი დროის მიმღეობა იწარმოება -an, -än სუფიქსებით:

Vätändä doğulan çocuk 'სამშობლოში დაბადებული ბავშვი'.

Ey dārädä gürlıyan çay 'ეკ, დაბლობზე მოჩუხჩუხე ნაკადულო'.

Yapan yapıyır, yapmıyan yapmıyır 'მქნელი შვრება, არმქნელი არ შვრება'.

Atılan ox geri dönmez 'გასროლილი ისარი უკან არ ბრუნდება'.

Vaxtsiz öten xorozin başını kəsärlär 'უდროოდ მომივივან მამალს თავს ჭრიან'.

2. წარსული დროის მიმღეობა:

-miş: Bişmiş aş qazanda qalmaz 'მოხარშული კერძი ქვაბში არ დარჩება'.

Bişmiş aşı su qatma 'მოხარშულ კერძს წყალი არ დაუმატო'!

Dün gəlmiş Badri bogün gədiyer 'გუშინ ჩამოსული ბადრი დღეს მიდის'.

მომავალი დროის მიმღეობა იწარმოება -acax, -äcax აფიქსებით:

Yatacax babän su ver 'მამას, რომელიც წვება, წყალი მიაწოდე'.

Öläcex mal neye yarar? 'მომაკვდავი საქონელი რას წაადგება?'

რეპატრიანტთა დიალექტში გამოიყენება აგრეთვე -ağan, -egen, -äyän ფორმები, რომლებიც ახლანდელ და წარსულ დროებს გამოხატავენ და მიუთითებენ პირის ან ნივთის ხასიათზე და თვისებებზე. მაგ.:

Yatağan arslandan gezegen tilki eydur 'მწოლიარე ლომს მოსიარულე მელა სჯობს'.

Gezağan gälinän, güläyän qızgan çarşı-bazarda loti äydur 'მოსეირნე რძალს, მომცინარე გოგოს ბაზრის ლოთი სჯობს'.

აღსანიშნავია, რომ ახლანდელი დროის მიმღეობა, რომელიც იწარმოება -(y)an, -(y)en აფიქსებით, მომდინარეობს -kan; -gan/-gen აფიქსებისაგან და გამოიყენება ბევრ თურქულ ენაში (ა. კონონოვი).

1.3.11. რთული ქვეწყობილი წინადადებები

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შედგება მაკავშირებელი ელემენტები განსაზღვრავენ ქვეწყობის ტიპს. რეპატრიანტები ეფექტურად იყენებენ მათ მეტყველების დროს. საკმაოდ გავრცელებულია -ki ელემენტი, მიმართებითი ნაცვალსახელი hangisi (ise) და სხვ.

ვფიქრობთ, მათ მეტყველებაში აღნიშნული ელემენტების არსებობა შედეგი უნდა იყოს იმისა, რომ ძველ თურქულს არ ახასიათებდა რთული სინტაქსური კონსტრუქციები.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ზემოთ აღნიშნული ტიპის წინადადებათა მსგავსად ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში ძირითადად ki კავშირი გამოიყენება.

1. O galdi ki bu kompyuteri bize gäturdi.

ის მოვიდა, ვინც ეს კომპიუტერი მოგვითანა.

ეს წინადადებაც ქართულადაა გაწყობილი. თურქული წინადადების წყობის მიხედვით კი იქნებოდა: Bize kompyuter getiren adam geldi.

2. O dur ki bizim köve gäliyer.

ის ის არის, ვინც ჩვენს სოფელში დადის.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება რეპატრიანტთა თურქულში იწარმოება მიმართებითი ნაცვლსახელის -hangisi-ისა და ki კავშირის საშუალებით.

1. Nigär evlendi hangisi ki kardaşı iki ay önce evlenmişti.

ნიგერი გათხოვდა, რომლის ძმამაც რამდენიმე თვის წინ იქორწინა.

2. BBizim köve Eduard Şevardnadze galdi, hangisi ki mäktäp açtı.

ჩვენს სოფელში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც სკოლა გახსნა.

3. Aynı o jurnalist galdi, hangisi ki daha önce galmıştı.

კვლავ ის ჟურნალისტი ჩამოვიდა, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო ჩამოსული.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება

დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი დამოკიდებულს უკავშირდება ki-ს საშუალებით. დამატებითი წინადადება მოსდევს ზმნურ შემასმენელს. ასეთი წყობა დამახასიათებელია თურქული ენისთვისაც, სადაც დამატებითი დამოკიდებული წინადადება დამატების მსგავსად ყოველთვის პოსტპოზიციამია.

1. Anam gördi ki saldatlar beşigimi pencereden attılar.

დედამ დაინახა, რომ ჩემი აკვანი ჯარისკაცებმა გარეთ ისროლეს.

2. Bilmiyerdük ki o demur yolınan sürgüne edeceklerdi.

არ ვიცოდით, რომ იმ რკინიგზით Y გაგვასახლებდნენ.

3. Adam gördi ki gendi avladını yılan öldürdi.

კაცმა დაინახა, რომ მისი ვაჟი გველს მოუკლავს.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ასეთი ტიპის დამოკიდებული წინადადების მაკავშირებელი ელემენტებია „nerede ki” (სადაც, (რომ)). დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებასთან შეიძლება იყოს როგორც პოსტპოზიციამია, ასევე პრეპოზიციამიც. ზემოთ აღნიშნული ელემენტი წინ უძღვის დამოკიდებულ წინადადებას.

1. Biz yaşıyerux orda nerede ki bizim atalarımız yaşamadı.

იქ ვცხოვრობთ, სადაც ჩვენი წინაპრები არ ცხოვრობდნენ.

2. Bän oni iştiyerim ki nerede ki çocuklugumda yaşıyerdim.

მე ის მინდა, სადაც ჩემს ბავშვობაში ვცხოვრობდი.

აღნიშნული ტიპის წინადადებაში მთავარი წინადადების შემასმენელი არ გადადის დამოკიდებული წინადადების ბოლოში, როგორც ეს გვაქვს დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში. ვფიქრობთ, რომ რეპატრიირებულთა მეტყველებაში ასეთი ტიპის წინადადებების არსებობა ქართულის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან აღნიშნული წინადადება თურქულად შემდეგნაირად გაფორმდებოდა: „Çocukluğumda yaşadığım yeri istiyorum”.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადება ერთმანეთს შემდეგი მაკავშირებელი ელემენტების საშუალებით უერთდება: **ne vaxti** 'rodesac', **ki** 'rom'.

1. Biz ne vaxti Tiflis'ten galdük sän artux burdan gädıyerdin.

როცა ჩვენ თბილისიდან ჩამოვედით, შენ უკვე აქედან მიდიოდი.

2. Ne vaxti buraya galdük Gürcüca bilmiyerdük.

როცა აქ ჩამოვედით, ქართული საერთოდ არ ვიცოდით.

3. Bän Türkiye'ye gättim ki burda eyi havalar idi.

როცა მე თურქეთში წავედი, აქ კარგი ამინდები იყო.

4. Ne vaxti ki bän Türkiye’de idim Yunus toyni geçirmiş.

როცა მე თურქეთში ვიყავი, იუნუსს ქორწილი გადაუხდია.

დამოკიდებული წინადადება ყოველთვის პრეპოზიციამია. აქაც ქართულის გავლენაა. რეპატრიირებულები **diK** ფორმას, ყველაზე ტიპიურ თურქულ მოვლენას, საუბრის დროს გვერდს უვლიან.

პირობით-დათმობითი დამოკიდებული წინადადება

პირობით-დათმობითი წინადადება ძირითადად იყენებს თურქული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ **-mAsİna rağmen** ელემენტს.

1. Küçük olmasına rağmen gene de suçlatılär.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა იყო, მაინც დაადანაშაულეს.

2. Āsas doğru olan bizdux bizi söyletmedilär.

თუმცა მართლები ვიყავით, ხმა არ ამოგვადებინეს.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ასეთი ტიპის წინადადების საწარმოებლად კვლავ **ki** გამოიყენება. მოქმედების მიზნობრიობა შეიძლება გადმოიცეს კავშირის გარეშეც.

1. Buraya onun için gäldux ki vätänimizi seviyerux.

აქ მისთვის ჩამოვედით, რომ ჩვენი სამშობლო გვიყვარს.

2. Araba almağ için çox işliyirim.

მანქანა რომ ვიყიდო, ბევრს ვმუშაობ.

თავი II

რეპატრიირებულთა ლექსიკის თავისებურებანი

2.1. დარგობრივი ლექსიკა

იანეთში მცხოვრებ რეპატრიანტთა ლექსიკა ძირითადად თურქულია. იანეთელთა მეტყველებაში გვხვდება როგორც ძველი, ასევე სულ ახლახანს ნასესხები ქართული სიტყვები. რუსულ, აზერბაიჯანულ და შუა აზიის თურქულ ენებთან უშუალო კონტაქტის შედეგი ნასესხებ ლექსიკაშიც აისახა.

მათი ლექსიკის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ლექსიკური ჯგუფები: 1. სალიტერატურო თურქულთან საერთო ლექსიკა, 2. ქართული ლექსიკა, 3. აზერბაიჯანული ლექსიკა 4. რუსული ლექსიკა 5. უზბეკური ლექსიკა და 6. დიალექტური ლექსიკა.

აღმოჩნდა, რომ ნათესაობის, ბუნების მოვლენების და სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა ნაწილობრივ თურქულია, ნაწილობრივ კი – აზერბაიჯანული. შინაურ ცხოველთა და ფრინველთა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღმნიშვნელი უმეტესი სიტყვები და ყოფითი ლექსიკა თურქულ-ქართულ-აზერბაიჯანულია.

რეპატრიირებულთა მეტყველებაში აზერბაიჯანული ლექსიკის სიუხვე, ვფიქრობთ, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ რეპატრიანტთა ერთი თაობა აზერბაიჯანში დაიბადა და განათლება აზერბაიჯანულ ენაზე მიიღო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიალექტოლოგებმა თავიდანვე შენიშნეს, რომ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტები აზერბაიჯანულ ენასთან მსგავსებას ავლენენ.

2.1.1. ხელობა-მესაქმეობის ტერმინები

რეპატრიირებულთა უმეტესობას ტექნიკური და უმაღლესი განათლება მიღებული აქვს რუსულ ენაზე, რის გამოც პროფესიის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად რუსულია: портной 'მკერავი', слесарь 'ზეინკალი', сапожник 'მეწაღე', строитель 'მშენებელი', мастер 'ოსტატი', летчик 'მფრინავი', медсестра 'ექთანი', кузнец 'მჭედელი', маляр 'მღებავი' და სხვ. აზერბაიჯანულ-თურქული ლექსიკა მცირე რაოდენობით დასტურდება: məlim 'მასწავლებელი', çoban 'მწყემსი', talebe 'მოსწავლე', saç qırxaн 'პარიკმახერი' და სხვ.

2.1.2. ბუნების მოვლენები

გვალვას რეპატრიირებულები quri-ს უწოდებენ (შდრ.თურქ. kurak, აზერ. gurag).ქარი 'yüzgär' (შდრ. თურქ. rüzgär, აზერ. rüzigär), თოვლი 'qarı' (შდრ.თურქ. kar, აზერ. gar), ჭექა-ქუხილი 'şimşäk', აზერბაიჯანულად. şimşäk, მიწისძვრა – deprem (შდრ. თურქ. deprem, აზერ. zälzälä).

2.1.3. ცხოველთა სამყარო

ცხოველთა და ფრინველთა ლექსიკა შერეულია. მეტწილად აზერბაიჯანულ-თურქულია, გვხვდება ქართული და რეპატრიირებულთა თურქული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკაც: ქართულია – çintal (წინტალ), (xvliki)ხვლიკი, çuçul (ჭუჭულ) და სხვ. მათი დიალექტური ლექსიკიდან აღსანიშნავია göğärçin 'მტრედი', qalemqaş 'მერცხალი' და სხვ.

2.1.4. საცხოვრებელი, სასოფლო-სამეურნეო, სასწავლო ნაგებობათა, სასწავლო ნივთებისა და საოჯახო ინვენტარის აღმნიშვნელი ლექსიკა

აღნიშნული ლექსიკაც შერეულია: çaldi (waldi), partsxi (ფარცხი), kavi (kavi), çala (ჩალა), bulul (ბულულ), dapa (დაფა), çishkar/çiçkar (ჭიშკარ/ჭიჭკარ) – ქართულია, komnata 'комната', lapatka 'лопатка', patalok 'потолок', prastina 'простыня', sumka 'сумка', mel 'мел', vilka 'вилка' – რუსულია. მეტი წილი აღნიშნული ლექსიკისა თურქულ-აზერბაიჯანულია: çäpär 'ლობე', güzgi 'სარკე', äläk 'საცერი' – აზერბაიჯანულია, çapa 'თოხი', tırpan 'ცელი', maxas 'მაკრატელი', mum 'სანთელი' – თურქულია.

2.1.5. ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ნათესაობის ლექსიკა მთლიანად თურქულ-აზერბაიჯანულია, ქართული ლექსიკა არ დასტურდება. „ნათლული“-ს აღსანიშნად რეპატრიირებულები იყენებენ „sünetli“-ს, რომელიც აზერბაიჯანული და თურქული ენებისათვის უცხოა. kirva 'ნათლია', ämi 'მამის ძმა', xala 'დეიდა', bacı 'და', gälin 'რძალი' – აზერბაიჯანულია, abla 'ზიცოლა', baba 'მამა', enişte 'სიძე' – თურქულია.

2.1.6. თვეები, კვირის დღეები, წელიწადის დროები

თვეების სახელწოდებები თურქული არ არის, რუსულიდანაა შეთვისებული: yanvar, fevral, mart, aprel, may, yun, yul, avgust, sentyabr, oktyabr, noyabr, dekabr. ახალგაზრდებში მთლიანად დავიწყებულია, ხოლო უფროსი თაობის

წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ თვეთა ის ძველი სახელწოდებები, რომელთაც მათი წინაპრები იყენებდნენ.

იანვარს რეპატრიირებულები ეძახიან zimhâri//zâmhâri, რაც თურქულში არაბული ნასესხობაა და ნიშნავს 'ძლიერი ყინვას, მკაცრ ზამთარს'.

თებერვალს უწოდებენ **küçük ayı** ანუ 'მოკლე თვეს'.

ივნისს _ **kiraz ayı** 'ბლობის თვე'.

ივლისს _ **orax ayı** 'თიბათვე'. რეპატრიირებულნი ივლისს **çürük ayı**-საც უწოდებენ. ხალხური განმარტების მიხედვით, ივლისში ხილი ლპობას იწყებდა და არ ინახებოდა. აგვისტოს **xarman ayı** 'მკათათვეს'-ს უწოდებენ.

სექტემბერი _ **böğrüm ayı**. bğür 'ღმუილი, ზმუილი' თურქული წარმომავლობის სიტყვაა.

ოქტომბერი _ **şarap ayı** 'ღვინობისთვე'. აშკარაა, რომ აღნიშნული სიტყვა ქართული 'ღვინობისთვის' კალკია რეპატრიირებულთა მეტყველებაში.

ნოემბერი _ **koç ayı**. ნოემბერში ხდებოდა თურმე წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მასიური კვლა და მზადება ზამთრისათვის. ხისგან აკეთებდნენ ჯვრის ფორმის სადგამს, რაზედაც ხდებოდა დაკლული პირუტყვის ჩამოკიდება და გაშრობა, თან ყარაულობდნენ, რათა ყვავებს ხორცი არ შეეჭამათ. ინახავდნენ მხოლოდ თითო დედალ-მამალ პირუტყვს გაზაფხულზე კვლავ რომ მოემენებინათ (მთხრობელი _ ტელმან ერისთავი).

ამ სახელწოდებას იმით ხსნიან, რომ ნოემბერში ვერძს უშვებდნენ ნახირში განაყოფიერებისათვის. ერთმა ინფორმატორმა სწორედ ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა: **барана пускают на гулянье** (ტოპიკ იზნო, 75 წლის).

დეკემბერი **qaraqış** ანუ 'შავი ზამთარი'.

კვირის დღეთა დასახელება კი სრულიად განსხვავებული და ერთგვარად უნიფიცირებულია: **birinci gün** 'პირველი დღე' = ორშაბათი, **ikinci gün** 'მეორე დღე' = სამშაბათი, **üçüncü gün** 'მესამე დღე' = ოთხშაბათი' და ა.შ. წელიწადის დროები: **yaz** 'გაზაფხული', **yaz** 'ზაფხული', **güz** 'შემოდგომა', **qış** 'ზამთარი'.

2.1.7. xili da bostneuli

რეპატრიირებულები თურქულ მეტყველებაში იყენებენ **kindz** (ქინძ), **lobia** (ლობია), **lazut** (ლაზუტ). ძირითადი ლექსიკა კი თურქულია, თუმცა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით: **erux** 'ქლიავი', **sarmusax** 'ნიორი' და სხვ.

2.1.8. სხეულის ნაწილები და შინაგანი ორგანოები

რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში აღნიშნული ლექსიკაც თურქულია. ხშირად იყენებენ ქართულ ლექსიკასაც: **nağola** (ნაღოლა), **tuçi** (ტუჩი), **ğuçi** (კუჭი), **xeço** (ხეჩო=კიკისერი).

2.1.9. ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები და ცეკვის სახელები

ეს ლექსიკაც თურქულია: **daul**, **tulum**, **bar**, **satranji** _ მუსიკალური ინსტრუმენტებია, **dizgirna**, **Acara horumi**, **tekdiz** და სხვ. ცეკვის სახეობათა დასახელებებია.

2.2. იანეთელთა თურქულ მეტყველებაში არსებული ლექსიკის წარმომავლობის საკითხი

2.2.1. ქართული სუბსტრატული ლექსიკა

იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქულში დადასტურებული ქართული ლექსიკა ორი სახეობისაა: I_სუბსტრატული, II_ახალი ნასესხობანი.

ჩუმა – "ყველი არ არის, შეუმდგარი ყველია" – ასე განმარტავენ მას რეპატრიირებულები.

სულხან-საბასთან "ჩუმა" ასეთნაირად არის განმარტებული: ჩუმა არის ერბო, არა მაწონთაგან, არამედ სძისაგან გამოღებული ერბო.

ჩუმა(ჩუმისა) 1. უდედოდ (უკვეთოდ) ჩაწოლილი რძე (კარაქის შესადღვებად) ჩუმის კარაქი. 2. "უმი ერბო" 3. კუთხ.(ქართ.მთიულ.) კარაქის შედღვების შემდეგ დარჩენილი სითხე (შდრ.დო). ჩუმის შეჭამანდი (ქეგლ).

ინგილოურში: "ჩუმა» აუღუღარი რძისაგან თავისთავად შედედებული მაწონი" (რ.ღამბაშიძე).

სემანტიკურ-ფონეტიკური მსგავსება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჩუმა, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილი ლექსემები, რეპატრიანტი მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში ქართულ სუბსტრატს წარმოადგენს.

ჭოჭი – სველი, წყლიანი ადგილი. აღნიშნული ლექსემა დაფიქსირებულია თითქმის ყველა ქართულ განმარტებით ლექსიკონში.

ჭოჭი – (ქართ., გურ., მესხ., ქსნის ხეობა) წყლიანი ადგილი, წყლით გაჟღენთილ ადგილზე რომ წყალი კიდეც დგას; ბლომად დაღვრილი წყალი (ალ. ღლონტი).

ჭოჭი – ძირს დამდგარი წყალი (ქეგლ). სულხან-საბას მიხედვით ჭოჭი – ადგილი წყლიანი.

ჭოჭი – დაჭაობებული, მრავლად დაღვრილი წყალი (დ. ჩუბინაშვილი).

სემანტიკის იდენტურობა, სახელობითი ბრუნვის ნიშანი და აბრუპტივი თანხმობის არსებობა აღნიშნული სიტყვის სუბსტრატულობას აშკარას ხდის.

2.2.2. უზბეკური ლექსიკა

რეპატრიირებულთა მეტყველებაში უზბეკური ნასესხობანი, ვფიქრობთ, დიდი რაოდენობით არ უნდა იყოს დამკვიდრებული, თუმცა ისინი მოიცავს რეპატრიანტთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: **Oğri** 'ქურდი', **üxlämax** 'ძილი', **üka** 'უმცროსი და', **köçe** 'ქუჩა'.

2.2.3. რუსული ლექსიკა

რუსული ნასესხობები რეპატრიირებულთა მეტყველებაში დიდი რაოდენობით დასტურდება სასწავლო ნივთებისა და საოჯახო ინვენტარის აღმნიშვნელ ლექსიკაში. როგორც თავად აღნიშნავენ, მათ უზბეკეთში ცხოვრების დროს ადგილობრივ უზბეკ მოსახლეობასთან ურთიერთობა რუსულ ენაზე უხდებოდათ. სამუალო და უმაღლეს განათლებასაც რუსულ ენაზე იღებდნენ. რეპატრიირებულმა ტელმან ერისთავმა გვიამბო: იგი იმდენად ცუდად ფლობდა უზბეკურ ენას, რომ მასწავლებელს მისთვის უთხოვია, რუსულად ილაპარაკე, იქნებ უფრო გავიგო.

რუსულ ნასესხობათა უმრავლესობას სესხების დროს ინტერფერენცია განუცდია: *tilivizor* 'телевизор', *şilapa* 'шляпа', *iskam* 'скамья', *istikan* 'стакан', *istol* 'стол', *potlika* 'бутылка', *piçka* 'спички'...

როგორც ა. კონონოვი მიუთითებს, თურქულ ენაში სჭარბობდა სრულხმოვნიანობა. ამ ტერმინის ქვეშ უნდა მოვიაზროთ როგორც ორი ხმოვნის, ასევე ორი თანხმოვნის არსებობის შეუძლებლობა ერთ მარცვალში. ამიტომაც, რომ ნასეხებ სიტყვებში ბგერათა კომბინატორული ცვლილებები ხდება: რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრის შემთხვევაში იყენებენ ეპენტეტიურ ან პროთეტიურ *i* ხმოვანს: *şilapa* (шляпа), *iskam* (скамья), *istikan* (стакан), *istol* (стол) და ა.შ. სიტყვებში სწორედ აღნიშნული *i* ხმოვნის განვითარებასთან გვაქვს საქმე.

აჭარულსა და გურულში ნასესხებ სიტყვებში სრულხმოვნიანობის კანონის დარღვევის შემთხვევები დაფიქსირებული აქვს ნ. გურგენიძეს.

ნასესხობებს ფონეტიკური, გრაფიკული, ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით ცვლილებები განუცდიათ.

ფონეტიკური ცვლილებები: : *kuxna* 'кухня', *sapug* 'сапог', *kuartel* 'квартира', *kryşa* 'крыш' და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე რუსული და ევროპული ენებიდან შემოსული სხვა ნასესხობებიც: *lodos*, *tulumba*, *kulup*, *uçaska*, *povar*, *xirul*, *sutka* და სხვ.

2.2.4. თურქული დიალექტური ლექსიკა

ვფიქრობთ, რომ რეპატრიირებულთა მეტყველებაში ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ლექსიკა, რაც მათ მეტყველებაში თურქულ დიალექტიზმად შეიძლება ჩავთვალოთ. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები ძირითადად მიეკუთვნება თურქული ენის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებს:

äringär 'ზარმაცი'
tavlı 'მსუქანი'
pörçüklü 'სტაფილო'
eveli 'სწრაფი'
qalemquş 'მერცხალი'
köçmax 'გათხოვება'
paklamax 'დასუფთავება'
matramaz, *qanı* 'ბუნწი'
sünetli 'ნათლული'
düngür 'ცოლის ოჯახი'

არის რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ლექსიკონში ვერ აღმოვაჩინეთ და მათ რეპატრიირებულები თავად განმარტავენ: მაგ;

artuxlama - *Yasaktur nä zaman ki artuxlama içersin. nä zaman ki gendinden çıkarsın o dur artuxlama, haramdur* – აკრძალულია, როდესაც **zedmets** სვამ, როდესაც ზღვარს გადადიხარ, ჰარამია.

taluxlu _ *Gürce yazdığı istoria bize taluxlu yani, biz oni alıyırux, çünkü çox şeylər bize ötürü yazılı durumda* – ქართულად დაწერილი ისტორია ჩვენთვის **misaRebia**, ესე იგი, ჩვენ მას ვეთანხმებით, რადგანაც ბევრი რამ ჩვენთვის წერია.

2.3. სიტყვაწარმოების საკითხები

თურქული ენა აფიქსებით მდიდარი ენაა. მაწარმოებელი აფიქსები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. სახელიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსები, 2. ზმნიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსები, 3. ზმნიდან ზმნის მაწარმოებელი და 4. სახელიდან ზმნის მაწარმოებელი აფიქსები.

ჩვენს დიალექტში თურქულ ენებში არსებული ყველა აფიქსი გამოიყენება.

2.3.1. სახელის წარმოება

რეპატრიირებულთა მეტყველებაში სიტყვათა წარმოსაქმნელად თითქმის იგივე აფიქსებია გამოყენებული, რაც თურქულ ენებში: მაგ., თურქულ ენებში არსებული სახელიდან სახელის მაწარმოებელი ოთხვარიანტიანი **-lUX** აფიქსის ფონეტიკური სახესხვაობა **-lux** აფიქსი გვაქვს.

1. აბსტრაქტული სახელები:

gözel 'ლამაზი'	gözellux 'სილამაზე'
därin 'ღრმა'	därlux 'სიღრმე'
kahraman 'გმირი'	kahramanlux 'გმირობა'

2. დანიშნულების სახელები:

tuz 'მარილი'	tuzlux 'სამარილე'
yağmur 'წვიმა'	yağmurlux 'საწვიმარი'
kostüm 'პიჯაკი'	kostümlux 'გარდერობი'
kömür 'ნახშირი'	kömürlux 'სანახშირე'

3. ერთნაირ საგანთა თავმოყრის ადგილი:

çam 'ფიჭვი'	çamlux 'ფიჭვნარი'
taş 'ქვა'	taşlux 'რიყე'
qum 'ქვიშა'	qumlux 'ქვიშნარი'

თურქული ენებში **-II** სუფიქსი აწარმოებს ორი ჯგუფის სახელებს. იანეთელთა მეტყველებაში აღნიშნული სუფიქსი ორვარიანტიანია. უკანა რიგის **a** და **ı** ხმოვნების შემცველი მარცვლების შემდეგ გამოიყენება **-lı** სუფიქსი. ხოლო დანარჩენი წინარიგისმიერი და უკანარიგისმიერი **o, u** ხმოვნების შემდეგ კი **-li** სუფიქსი. მაგ.:

tuz 'მარილი'	tuzli 'მარილიანი'
köv 'სოფელი'	köвли 'სოფლელი'
para 'ფული'	paralı 'ფულიანი'
göz 'თვალი'	gözli 'თვალიანი'
çocuk 'ბავშვი'	çocukli 'ბავშვიანი'
buz 'ყინვა'	buzli 'ყინვიანი'
şeker 'შაქარი'	şekerli 'შაქრიანი'
yol 'გზა'	yolli 'გზიანი'
qapı - 'კარი'	qapılı 'კარიანი'

2.3.2. ზმნის წარმოება

იანეთელთა თურქულ მეტყველებაში ზმნის წარმოსაქმნელად იგივე აფიქსებია გამოყენებული, რაც თურქულ ენებში.

-**mak**: gel-me-max _ არ მოსვლა (-**max** აფიქსი მისი ფონეტიკური სახესხვაობაა).
 -**in**:al-in-max 'აღება'
Il:den-il -max 'თქმა'
 ač-il-max 'გაღება'
 boğ-ul-max 'დახრჩობა'
 dög-ül-max 'ცემა'
İr: çix-ar-max 'აღება'
 iç-ir-max 'დაღვევინება'
 qop-ar-max 'მოგლეჯა'
 -**Iş**:dög-üş-max 'ერთმანეთის ცემა'
 bul-uş-max 'შეხვედრა'
 gid-iş-max 'სიარული'

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. -cI სუფიქსით ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, VIII, ქუთაისი, 2004, გვ.20-26 (თანაავტორი ლ. ავალიანი);
2. 1944 წელს მესხეთიდან გადასახლებულთა ისტორიის რამდენიმე საკითხი კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, IX, ქუთაისი, 2005, გვ.282-289;
3. ქართული ლექსიკური სუბსტრატი იანეთში მცხოვრები რეპატრიირებული მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში, პერსპექტივა _XXI,VII, თბილისი, 2005, გვ.133-137
4. აბრუპტივები იანეთში მცხოვრებ რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში, XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები,თბილისი, 2005, გვ.55-56;
- 5.ფონეტიკური პროცესები იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ენათმეცნიერული სერია, ტომი VIII (I), ქუთაისი, 2006, გვ.114-125.